1 აგვისტო

ხუთშაბათი: 2024

რიგითი ჟამის XVII კვირა [I]

წმ. ალფონს მარია დე ლიგვორი, ეპისკოპოსი, რედემპტორისთა დამაარსებელი, ეკლესიის მოძღვარი, +1787 ნოჩერა დეი პაგანიში (იტალია), (მ), თ

იერ 18,1-6; ფს 145; მთ 13,47-53

თიხასაგით ხართ ჩემს ხელში იერ 18,6

იერემია წინასწარმეტყველი, უფლის რჩევით მექოთნის სახლში ჩადის, სადაც ხედავს თუ როგორ ცდილობს ჩარხთან მდგარი მექოთნე, დაწყებული საქმის გაფუჭებისას, სხვა ჭურჭლის გაკეთებას მიჰყოფდა ხელს. ჩვენც ასე გვექცევა უფალი, თუკი ჩვენი მოწმეობა არ მოეწონება, ახლიდან იწყებს თავის საქმეს.

2 აგვისტო

ჰერასკევი 2024

რიგითი ჟამის XVII კვირა [I], მწ

წმ. ევსები, ვერჩელის ეპისკოპოსი, +371;
წმ. პეტრე ივლიანე ეიმარდი, ხუცესი, წმ. საიდუმლოს მღვდელთა და მონაზონ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1868 ლამურში (საფრანგეთი);
(20.VII) წმ. სალომე ქართველი, წამებული, +~1227

იერ 26,1-9; ფს 68; მთ 13,54-58

არ მოუსდენია იქ ბევრი სასწაული
მათი ურწმუნოების გამო მთ 13,58

იესო სწუხს, რომ თანამემამულეებში
კეთილგანწყობა ვერ მოიპოვა. სამწუხაროდ,
სიბრძნე და სასწაულები, რის შესახებაც
უკვე იცოდნენ, ვერ შეაცნო მათ ღმრთისაგან
მოვლენილი. ასეთი გულქვაობა ფუჭად
აქცევდა სასწაულებს.
მადლობა, იესო, ყველა იმ სიკეთისთვის,
რისი გაკეთებაც გწადია ჩემს ცხოვრებაში:
არ მინდა ხელები შეგიკრა: მე მჯერა შენი!

იერ 26,11-16.24; ფს 68; მთ 14,1-12

ქცევა გამოასწორეთ

იერ 26,13

იერემია გაბედულად იმეორებს უფლის ამ მოწვევას, როდესაც მოქრთამული მღვდლები და წინასწარმეტყველები მის სიკვდილს ითხოვენ. საკუთარ სიცოცხლეზე და ყველაფერზე მეტად იგი უფლის ერთგულებაზე და ხალხის გადარჩენაზე ზრუნავს. მრავალი წმინდანისა და მოწამის მაგალითს შევყავართ უფლის სიყვარულში: მისგან კი უამრავ წყალობას მივიღებთ!

4 ᲙᲕᲘᲡᲢᲝ

ᲙᲕᲘᲠᲐ 2024

რიგითი XVIII კვირადღე, «ბ», [II], მწ

[წმ. იოანე მარია ვიანეი, ხუცესი, არსელი კიურე, +1859, (მ), თ]

გამ 16,2-4.12-15; ფს 77; ეფეს 4,17.20-24; იო 6,24-35

რა ნიშანს მოიმოქმედებ, რომ ვიხილოთ და ვირწმოთ? იო 6,30

აგერ ახლახანს ჭამეს პური და თევზი, იესომ რომ გაამრავლა მათ დასაპურებლად, მაგრამ მაინც ვერ ირწმუნეს. ხუთი პური და ორი თევზი იყო, ხოლო დამშეული ხალხი ხუთი ათასზე მეტს ითვლიდა... გამოდის, რომ სასწაულებრივი ნიშნები ადამიანებს ვერ ეხმარება იესოს მიღებაში და ნდობაში, ეს თავმდაბლობაა, რომელიც გულის კარს გვიხსნის. იესოს ქმედითი სიყვარული ჭეშმარიტი ნიშანია. აწ, შეგვიძლია ვირწმუნოთ, რომ იგი მამისაგან მოდის!

5 ორშაბათი 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XVIII კვირა [II], მწ

წმ.მარიამის მთავარი ბაზილიკის კურთხევა

იერ 28,1-17; ფს 118; მთ 14,13-21

უდის საკრებულოს დღეობა მთაში

დარჩენილი ნატეხებისგან თორმეტი საფსე ივლოური აერიოფეს მთ 14,20

ყველამ ჭამა გაძღომამდე და კიდეც მორჩათ თორმეტი კალათა: თითო კალათი თითო მოციქულზე. კვლავ მათთან წავალ საჭმელად, რათა გავძღე იესოს პურით!

6 აგვისტო

სამშაბათი
2024

უფლის ფერისცვალება, დ, [ს], თ

(24.VII) წმ. ილარიონ თვალოელი, მონაზონი, +1041

დან 7,9–10.13–14 ან, 2პეტ 1,16–19; ფს 96; მარ 9,2–10

დ. მარიეტ დეროშეს გახსენება (+2022)

ეს არის ჩემი საყვარელი ძე, მას უსმინეთ მარ 9,7

ეს ღმერთის ხმაა! ახლა უკვე ვიცით მისი ვინაობა: ის იესოს მამაა, იმ იესოსი, ვინც ჩვენს წინაშე ლოცულობს. მასზე, მთაზე ნათლით გასპეტაკებულზე მიგვანიშნა მამამ, რომ ვუსმინოთ და მივენდოთ მას. იესო, ჭეშმარიტო ნათელო, მზეზე უფრო მეტად გაბრწყინებულო: გიღებ შენ, მიყვარხარ, გეთაყვანები!

7 ოთხშაბათი: 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XVIII კვირა [II], მწ

წმ. ქსისტე II, პაპი და მისი მეგობრები, წამებულნი რომში, +258; / წმ. კაეტანე, ხუცესი, თეატინელთა დამაარსებელი, +1547 ნეაპოლში

იერ 31,1–7; საგ.: იერ 31,10–13; მთ 15,21–28

მოეფცაქეს, როგორც შენ ესურს მთ 15,28

ეს მშვენიერი შეხვედრა იყო! იესო და ქანაანელი დედაკაცი: ორივე თავდაჯერებული და მტკიცე, იესო თავის ძეობრივ და მორჩილ სიყვარულში, დედაკაცი თავის დედობრივ, მზრუნველ სიყვარულში... ვინ იმარჯვებს? სიყვარული!

8 აგვისტო

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XVIII კვირა [II]

წმ. დომენიკე, ხუცესი, მქადაგებელ ძმათა დამაარსებელი, +1221 ბოლონიაში, (მ), თ

იერ 31,31-34; ფს 50; მთ 16,13-23

მე ვიქნები მათი ღმერთი, ისინი კი ჩემი ერი იერ 31,33

აბრაამის, ისაკისა და იაკობის ღმერთი რამდენჯერმე დებს აღთქმას თავის ხალხთან. თუმცა, ეგვიპტიდან გამოხსნისა და სხვა მრავალი გამორჩეული ნიშნის მიუხედავად, ხალხი მუდმივად ღალატობდა მას. მძიმე ტვირთად აღიქვამდა მის რჯულს. ხოლო ღმერთი, დასჯის სანაცვლოდ, ახალ აღთქმას უდებს, რომელიც მისი ძის - იესოს სისხლით აღსრულდება. ვინც მას მიიღებს და შეიყვარებს, მისი წმიდა სულით აღივსება და ახალ გულს შეიძენს.

9 აგვისტო

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ 2024

წმ. თერეზა ბენედიქტა ჯვრისა (ედიტ შტაინი), კარმელიტელი, ქალწული და წამებული, ევროპის მფარველი, +1942 ოსვენციმში, დ, [ს], წ

ოს 2,16ბ.17ბ.21-22; ფს 44; მთ 25,1-13

იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით
არც დღე, არც საათი მთ 25,13

წმიდა თერეზა ბენედიქტა ჯვრისა, ევროპის მფარველი, იესოს "ფხიზელი" მოწაფე იყო. მონასტერში, რომლის წიაღშიც მიჰყვებოდა იგი უფალს, დიდსა თუ პატარა დამცირებას, თავის სიყვარულს იესოს უძღვნიდა. და როდესაც მან მსხვერპლად მოითხოვა მისი სოცოცხლე, იგი მზად იყო... და მასთან ერთად შეაბიჯა ზეციურ ქორწილში! აწ, იქიდან შეგვეწევა, როგორც ჩვენი ჭეშმარიტი ქრისტესმიერი და.

10 აგვისტო

შაბათი
2024

წმ. ლავრენტი, დიაკონი,
წამებული რომში, +258, დ, [ს], წ;

(28.VII) წმ. ღირსი გიორგი მაშენებელი, +1029

2კორ 9,6–10; ფს 111; იო 12,24–26

ვინცა მე მემსახურება, მას მამა მიაგებს პატივს იო 12,26

ანდრიამ და ფილიპემ იესოსთან ბერძნები
მიიყვანეს, რომლებმაც მისი ნახვის სურვილი
გამოთქვეს. იესო მაშინვე ცხადყოფს,
რომ ვისაც მისი ახლოდან გაცნობა სურს,
ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს,
თუკი თესლს ემსგავსება: თესლი
სიკვდილით ნაყოფიერდება.
მადლობა შევწიროთ და პატივი მივაგოთ
წმიდა ლორენცოს, რომელიც ეკლესიის ღა-
რიბთა სახით იესოს ემსახურებოდა:
მანაც მიწაში ჩაფლული თესლის მსგავსად
მოიტანა უხვი ნაყოფი.

11 ივისტო

ივირა 2024

რიგითი XIX კვირადღე, «ბ», [III], მწ

[(29.VII) წმ. ევსტათი მცხეთელი, წამ. +550 (მ), წ;
წმ. კლარა ასიზელი, ქალწული, უპოვარ დედათა, ანუ
კლარისათა დამაარსებელი, +1253, (მ), თ]

3მეფ 19,4–8; ფს 33; ეფეს 4,30 – 5,2; იო 6,41–51

მე ვარ ცოცხალი პური, ზეციდან ჩამოსული იო 6,51

იესო, შენ ყოველ ჯერზე მოდიხარ, როდესაც
გიხმობ, თუნდაც ფიქრით, ლოცვის
სულთქმით, შენს სიტყვაზე მორჩილებით
და, ყველაფრის მწვერვალის – წმინდა
ევქარისტიასთან მიახლოებით. შენი ყოფნით
კვებავ და ზრდი ჩემს სულიერ ცხოვრებას,
სიყვარულისა და სიხარულის ჩემეულ უნარს.
გმადლობ, იესო!

12 ორშაბათი 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XIX კვირა [III], მწ

წმ. იოანა ფრანციისკა დე შანტალი, ოჯახის დედა, შემდგომ მონაზონი, ანესიში ვიზიტაციის დედათა დამაარსებელი, +1641 მულენში (საფრანგეთი)

ეზეკ 1,2-5.24-28; ფს 148; მთ 17,22-27

ასე ვიხილე ხილვაში უფლის დიდება ეზეკ 1,28

წინასწარმეტყველი ეზეკიელი ღმერთის არსებობის ნიშნებს ხედავს. როცა სიყვარულით ვუსმენთ სახარებას, როცა მას ჩვენი მოყვასების სათნო ქმედებებში ვხედავთ ასახულს, როცა შეგვიძლია მიტევება..., მაშინ ჩვენც გავნჭვრეტთ ცოცხალი და ჭეშმარიტი ღმერთის დიდებას, მის არსებობას, რომელიც ყოველ კაცზე ბოძებული სიბრძნე და სიყვარულია.

13 აგვისტო

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XIX კვირა [III], მწ

(31.VII) წმ. არსენ ნინოწმინდელი, ეპისკოპოსი, +1018;
წმ. პონციანე პაპი და იპოლიტე ხუცესი, წამებულნი სარდინიაში, +≈235

ეზეკ 2,8 3,4; ფს 118; მთ 18,1-5.10.12-14

ვინცა თავს დაიმდაბლებს, ამაღლდება მთ 18,4

მათე იესოს რამდენიმე სწავლებას წარმოგვიდგენს: მოწოდება თავმდაბლობაში, რომელიც სძლევს განდიდების მანიას; განურჩევლად ყველას მიღება და იმის აღიარება, რარიგ ძვირფასნი არიან პატარები და სუსტები მამის თვალში; დარიგება მასზედ, რომ ჩვენი წილი პასუხი ვაგოთ ყველას წინაშე, განსაკუთრებით, ბავშვების. ჭეშმარიტი სიდიადე ბავშვური მინდობაა მამის ხელებზე და ქედის მოხრაა მოყვასებზე.

14 ოთხშაბათი: 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XIX კვირა [III]

წმ. მაქსიმილიან მარია კოლბე, ხუცესი, კონვენტუალი მინორი ძმა, წამებული, +1941 ოსვენციმში, (მ), წ

ეზეკ 9,1-7;10,18-22; ფს 112; მთ 18,15-20

საღამოს დიდდღესასწაული ღამისთევის წირვა:
1 ნეშტ 15,3-4.15-16; 16,1-2; ფს 131; 1კორ 15,54-57; ლკ 11,27-28

სადაც ორი ან სამია შეკრებილი ჩემი სახელით, მეც იქა ვარ მათ შორის მთ 18,20

როდესაც იესოს სიყვარულის გამო ერთად ვართ ლოცვაში და მისი სიტყვის მოსმენაში ან როცა ერთმანეთს ვეხმარებით ამ სიტყვის ხორცშესხმაში, თუნდაც ერთმანეთის გამოსწორების გზით, უფალი ჩვენს შორის გაცხადდება, სიხარულსა და მშვიდობას მოგვგვრის, ძალას შეგვმატებს. ხოლო ნაყოფი ჩვენს შორის მისი არსებობიდან მოდის.

15 აგვისტო

ხუთშაბათი
2024

უწმიდესი მარიამ ღმრთისმშობლის ზეცად აღყვანება, დდ, [ს], თ

გამოცხ 11,19;12,1–6.10; ფს 44; 1კორ 15,20–27; ლკ 1,39–56

თბილისის ღვთისმშობლის ზეცად აღყვანების კათოლიკური საკათედრო ტაძრის დღეობა; უდის დიდი კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

შეიძრა ჩვილი მის მუცელში ლკ 1,41

იესო, მარიამში იმყოფება იმ წამიდან, როგორც კი მასში ჩაისახა სულიწმიდის ძალით: ელისაბედის კალთაში მყოფმა ექვსი თვის ჩვილმა შეიგრძნო მისი არსებობა. ეს განსაკვირველი მოვლენაა!
როდესაც ერთ ყმაწვილქალს შევხვდი, ვინც რამდენიმე დღე გაატარა იესოსთან ლოცვაში, მაშინ აღვიქვი მისი მადლის სიძლიერე მასში.

16 აგვისტო

პარასკევი
2024

თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების ეკათოლიკური საკათედრო ტაძრის კურთხევა, დდ (სამრევლოებში - დ), [ს], თ

წმ. სტეფანე, უნგრეთის მეფე, +1038;
(3.VIII) წმ. რაჟდენ მოწამე, +457

3მეფ 8,22-23.27-30; ფს 94; 1პეტ 2, 4-9; იო 4, 19-24

სხვა ეკლესიებში: 3მეფ 8,22-23.27-30; ან 1პეტ 2,4-9; ფს 94; იო 4,19-24

მარადიულ აღთქმას დაგდებ შენთან ეზეკ 16,60

ასე სრულდება ამბავი, რის საფუძველზეც ეზეკიელი ცდილობს აჩვენოს უფლის სიყვარული ადამიანის- მისი ქმნილების მიმართ. არარაობიდან ისურვა და შეჰქმნა იგი, ნიჭითა და მშვენიერებით აღავსო, არც ორგულობის დროს მიუტოვებია: თავისი ძის ჯვრით მარადიული ჰყო თავისი აღთქმა და თავისი ხსნა.

17 შაბათი 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XIX კვირა [III], მწ

ეზეკ 18,1-10.13.30-32; ფს 50; მთ 19,13-15

მოიყვანეს იესოსთან ბავშვები მთ 19,13

სიბრძნე მიუძღვით იმ მშობლებსა და ბებია-ბაბუებს, რომლებსაც იესოსთან მიჰყავთ პატარები: ეკლესიაში ან კატეხისტურ შეხვედრებზე, ან შინ ლოცულობენ ერთად. სიყვარულის ამგვარი გამოხატვით ეხმარებიან მათ მადლისა და კურთხევის მიღებაში. უფალი არ მოაკლებს თავიანთი გარჯის ნაყოფს.

18 კვირა 2024

აგვისტო

რიგითი XX კვირადღე, «ბ», [IV], მწ

იგავ 9,1-6; ფს 33; ეფეს 5,15-20; იო 6,51-58

რემი მჯამელი რემით იცო-ცხლებს იო 6,57

დღეს კვირაა, უფლის დღე. ეს ის დღეა, როცა მკვდრეთით აღმდგარი იესო თავისი სახელით შეკრებილთა შორის წარსდგა. მეც იქ ვიქნები: იესო გველაპარაკება, გვასაზრდოებს, მიგვავლენს, რომ მასთან ერთად ვიცხოვროთ ამ ახალ კვირაში და მისი პურით გამოკვებილებმა, სიყვარულით დავამოწმოთ იგი.

19 ორშაბათი 2024

აგვისტო

წმ. იოანე ოდი, ხუცესი, ოდისტთა დამაარსებელი, +1680 კანში (ნორმანდია, საფრანგეთი)

ეზეკ 24,15-24; საგ.: რჯლ 32,18-21; მთ 19,16-22

მო-დი! ანმო-მყევი! მთ 19,21

ზოგჯერ იესოს ეს სიტყვა ღმრთივშეწირულ ცხოვრებაში მოგვიხმობს. და არა მხოლოდ: იესო, დღენიადაგ მიხმობს თავის მოწაფედ, ამ სიტყვებით: "მოდი და გამომყევი", როცა ჩადენილი ცოდვა შურისძიებისკენ მიბიძგებს, როცა წვრილმანი საქმეები ლოცვის წუთებს ახშობენ, როცა შინ და გარეთ გასაჭირში მყოფებს მზერას ვარიდებ.

20 აგვისტო

სამშაბათი 2024

რიგითი ჟამის XX კვირა [IV]

წმ. ბერნარი, კლერვოს აბატი, ცისტერცენსი, ეკლესიის მოძღვარი, +1153, (მ), თ

ეზეკ 28,1-10; საგ.: რჯლ 32,26-28.30.35-36; მთ 19,23-30

ძნელად შევა მდიდარი ცათა სასუფეველში

მთ 19,23

ისევე, როგორც გაუმაძღრობა უშლის ხელს ადამიანს დიეტის დაცვაში, ამგვარადვე, სიმდიდრე ატყვევებს გულს ეგოიზმსა და ამპარტავნებაში, კარს უხშობს ღმერთთან და ძმებთან ურთიერთობაში. და თუ, უფლის წყალობით, მდიდარი (და ეს შეიძლება მეც ვიყო) გულს გაუხსნის თანაზიარებას, მაშინ გახდება მოყვასი, სულით ღარიბი, იესოს მოწაფე, ცათა სასუფევლის მოზიარე.

21 ოთხშაბათი: 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XX კვირა [IV]

წმ. პიუს X, პაპი, +1914 რომში, (მ), თ

ეზეკ 34,1-11; ფს 22; მთ 20,1-16

აჰა, მე თავად მოვეძებნი რემს ცხვრებს ეზეკ 34,11

პირველი საკითხავის ეს ფრაზა, ისევე როგორც დღევანდელი სახარება, ჩვენდამი უფლის უსაზღვრო სიკეთეზე გვესაუბრება. უფალი გულგრილობას როდი იჩენს ჩვენს მიმართ, პირიქით, მას ვეძვირფასებით. თავად მოდის, რომ გვიპოვოს იქ, სადაც გზააბნეულნი დავიკარგენით, გვიპოვოს ქუჩაში, სადაც ფუჭად ვფლანგავთ სიცოცხლეს, რომელიც მან გვიბოძა თავისი სიყვარულის გასაზიარებლად.

22 ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ 2024

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ნეტ. ქალწ. მარიამ დედუფალი, (მ), თ

ეზეკ 36,23-28; ფს 50; მთ 22,1-14

ვარგავის ეკლესიის დღეობა

ᲐᲮᲐᲚ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲪᲔᲛᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ეზეკ 36,26

მრავალი წლის გამო მამისგან დაშორებულს, უმეცრებასა და ეგოიზმში მყოფს, გული დამისნეულდა ეჭვითა და შურით, მრისხანე და უსუსური ვარ მოთმინებასა და დიდსულოვნებაში. თუმცა, ექიმთან ვმკურნალობ, ვისაც გულის გადანერგვა შეუძლია: დღენიადაგ მასთან დავდივარ და მის გვერდით ყოფნას ვლამობ. ეს მკურნალი - იესოა!

23 პარასკევი 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XX კვირა [IV], მწ

წმ. როზა ლიმელი, ქალწული, დომინიკელთა ტერციარი, +1617 ლიმაში

ეზეკ 37,1-14; ფს 106; მთ 22,34-40

შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი მთ 22,39

ნათლობასთან ერთად საჩუქრად მებოძა ახალი დიდი ოჯახის - ეკლესიის წევრობა. აქ, მამის სიყვარულში ჩაძირულმა, ჩემი ახალი ძმები შევიყვარე. როგორც ჩემი ოჯახის ღვიძლ წევრებს, მათაც "ჩემიანებად" ვიღებ; პასუხს ვაგებ მათზე, მიყვარს და ვცდილობ საკუთარი თავივით გავაბედნიერო... იქნებ უფრო მეტადაც.

24 აგვისტო

24 შაბათი 2024

წმ. ბართოლომე მოციქული, დ, [ს], წ

გამოცხ 21,9ბ-14; ფს 144; იო 1,45-51

მოდი და ნახე

იო 1,46

ფილიპე, ვინც აგერ ახლახანს გამოეხმაურა იესოს მოწოდებას, უკვე მათ წრეში შედიოდა, ვინც მოძღვართან ცხოვრობდა. მან ეს ახალი სიცოცხლე შესთავაზა ნათანაელს - მოციქულს, ვისაც დღეს ბართლომეს სახელით მოვიხსენებთ. სჯეროდა, რომ მასაც, წმიდა წერილის მცოდნეს, მთელი არსებით დაიპყრობდა იესო.

25 ივისტო

ივირა 2024

რიგითი XXI კვირადღე, «ბ», [I], მწ

[წმ. ლუდოვიკე, საფრანგეთის მეფე, +1270 ტუნისში
წმ. იოსებ კალასანსი, ხუცესი, დედა ღვთისას ღატაკთა და ღვთისმოსავ სკოლათა მოწესე ემღვდელმონაზონთა ორდენის დამაარსებელი, +1648 რომში]

იესო 24,1-2.15-17.18; ფს 33; ეფეს 5,21-32; იო 6,60-69

შენ გაქვს საუკუნო სიცოცხლის სიტყვები

იო 6,68

იესო, შენ გაქვს სიტყვები, რომლებიც ამ ცხოვრების მცირე და დანისლულ ჰორიზონტს გადალახავენ. ისინი მაიმედებენ და მამშვიდებენ იქ, სადაც სევდა-ნაღველს ვხედავ. ძალას მაძლევენ, რომ მიყვარდეს მაშინაც, როცა ეს ფუჭი და აუხდენელი მეჩვენება. სიხარულს მგვრიან, რომ სხვებს მივუძღვნა თავი, ყველაზე ახლობლით დაწყებული. შენს ცხოვრებაზე მესაუბრებიან, იესო. მადლობა, რამეთუ დღესაც ამ სიტყვებით მელაპარაკები წმიდა წირვაზე.

26 ორშაბათი 2024

აგვისტო

2თეს 1,1-5.11-12; ფს 95; მთ 23,13-22

მადლი თქვენ და მშვიდობა ჩვენი მამა ღვთისა
და უფალ იესო ქრისტესაგან 2თეს 1,2

წმინდა პავლე და მისი თანამოაზრეები, კურთხევის ამ სიტყვებს მიმართავენ ერთგულ ქრისტიანებს. სიტყვები იმას წარმოქმნიან, რასაც გამოხატავენ, თუკი რწმენით იქნება მიღებული. დე, ასე იყოს ჩვენს სამრევლოებშიც!

27 ავგისტო

სამშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXI კვირა [I]

წმ. მონიკა, წმ. ავგუსტინეს დედა, +≈387 ოსტიაში (რომთან), (მ), თ

2თეს 2,1-3.13-17; ფს 95; მთ 23,23-26

დიაკ. თენგიზ პარმაქსიზიშვილის გახსენება (+2021)

ღმერთმა, მამამ ჩვენმა
ანუგეშოს თქვენი გულები 2თეს 2,17

წმიდა მონიკამ, თავისი ვაჟის - ავგუსტინესთვის ხანგრძლივი და თავდაუზოგავი ლოცვის შემდეგ, საბოლოოდ იხილა იგი ბედნიერ ქრისტიანად და მღვდლად. წმიდა პავლეც ლოცულობდა თესალონიკელი მორწმუნეებისთვის, რათა ნუგეშცემული ყოფილიყვნენ დევნაში, ხოლო ზოგიერთნი, დაბნეულობასა და შიშში, რაც იმინენტური ბოლო ჟამის მოახლოებით და უფლის მოსვლის მოლოდინით იყო განპირობებული.

28 ოთხშაბათი 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XXI კვირა [I]

წმ. ავგუსტინე, ჰიპონის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +430, (მ), თ

2თეს 3,6-10.16-18; ფს 127; მთ 23,27-32

მიძინება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

შიგნით თვალთმაქცობით სარ აღვსილნი მთ 23,28

იესო, ფარისევლებს და მათ მწიგნობრებს, თავიანთ გულს შეაცნობს. არაა ღმერთისთვის საკადრისი, რადგანაც, ღვთისმოსაობის და წმინდანობის საბურველში გახვეულნი, ამქვეყნიური სიმდიდრეზე არიან მიჯაჭვულნი და ყოველმხრივ ცდილობენ დაიკმაყოფილონ თავიანთი სიამაყე და ამაოება.

29 ივისტო

ხუთშაბათი
2024

რიგითი ჟამის XXI კვირა [I]

წმ. იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთა, (მ), [ს], წ

იერ 1,17-19; ფს 70; მარ 6,17-29

არ ექრქება შენი ძმისცოლი ცოლად მარ 6,18

იოანე ნათლისმცემელი თვით ჰეროდეს მოტყუებასაც კი ერიდება. იცის, რომ მისი წარმოთქმული სიტყვა, ვერ იქნება მეფისთვის მოსაწონი, სამაგიეროდ ღმერთისთვის არის მოსაწონი, უფრო მეტიც, სასურველი.

30 აგვისტო

პარასკევი 2024

(17.VIII) წმ. ტბელი აბუსერიძე, XIIIს

1კორ 1,17-25; ფს 32; მთ 25,1-13

მ. ანდრია გიგოლაშვილის გახსენება (+1937)

ქონიერებმა ლამპრებთან ერთად
მყოფიცა ექიდოლეს მთ 25,4

შენი იგავი, იესო, გულისხმიერს და წინდახედულს მხდის. შენი წყალობით მზად ვიქნები შენთან შესახვედრად, რომ ნება მოგცე გამიძღვე წინ, მთელი ჩემი დრო და ენერგია დავუთმო შენს სიყვარულს, რომელიც მოდიხარ, რათა გულით მიგვიღო მარადიულ დღესასწაულზე.

31 შაბათი 2024

აგვისტო

რიგითი ჟამის XXI კვირა [I], მწ

1კორ 1,26-31; ფს 32; მთ 25,14-30

ერთს მისცა ხუთი ტალანტი მთ 25,15

იესო, შენ იმედს უსახავ ყველა შენს მოწაფეს, მადლობას გწირავ, რამეთუ მეც ისე მეპყრობი, როგორც შენი სამეფოს ერთ რიგით თანაშემწეს. მადლობას გწირავ, რამეთუ ჩემი ცხოვრების მიმართ შენი ყოველდღიური ერთგულება მიბიძგებს, რომ ვიცხოვრო შენთვის და შენთვის მოსაწონი ნაყოფი გამოვიღო.